საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№13 / 2014

მაჟორიტარი დეპუტატები თემებში ამომრჩევლებს ხვდებიან

მითი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას მოსახლეობა მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში ახსენდება, დაიმსხვრა: ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ორგანიზებით მაჟორიტარი კანდიდატები თემებში მოსახლეობას ხვდებიან. შეხვედრის დროს მოსახლეობა მაჟორიტარს თემის პრობლემებს აცნობს და მისგანაც ისმენს, მომავალი წლის ბიუჯეტში რა თანხა ჩაიდო შესაბამისი თემის პრობლემების გადასაჭრელად.

მაჟორიტარი დეპუტატის, მალხაზ კორსალიძის შეხვედრა თემში, მოსახლეობასთან, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ორგანიზებით

ის, რომ მოსახლეობა მაჟორიტარი დეპუტატების უკმაყოფილოა, არასალია. თითქმის ყოველ თემში მისული ჟურნალისტს თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს ერთსა და იმავეს ეუბნებიან: „მხოლოდ არჩევნების წინ ვახსენდებით, როცა ხმები სჭირდებათ. არჩეულები ჩვენთვის ველარ იცლიან! ოთხი წელი ისე გადის, დეპუტატი ერთხელაც არ მოდის თემში...“

მოსახლეობის საყვედურებს ასეთ დროს საზღვარი არ აქვს.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ორგანიზებით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ ფარგლებში აჭარის რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ყველა თემში მაჟორიტარი კანდიდატები მოსახლეობას ხვდებიან. პირველი შეხვედრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხუცუბნის თემში შედგა, მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ დუმბაძე თავის ამომრჩევლებს შეხვდა და მათი სატკივარი მოისმინა. შეხვედრას „ინტელექტის“ წარმომადგენლები, ქობულეთის საკრებულოს რამდენიმე წევრი და თავად საკრებულოს თავმჯდომარე სულხან ოქროპირიძეც ესწრებოდა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქაქუთის თემში ამბობენ, რომ თემის მაჟორიტარი დეპუტატი ვიტალი ქარცივაძე მოსახლეობასთან შესახვედრად ხშირად მოდის, მაგრამ მარტო ხალხთან შეხვედრა საკმარისი არ არის. პრობლემები ბევრი აქვთ ქაქუთელებს. ერთ-ერთი უმთავრესი ელექტროენერგიის გაუმართავი ხაზებია. როგორც ამბობენ, ქარის დროს შუქი ითიშება და შესაბამის ელექტროსადგურში არ არის ღამის მორიგე ელექტრიკოსი, შუქი რომ ჩართოს. „ჭუჭულებიით 8 საათზე ნუ დაგვაძინებენ,“ – ითხოვენ ქაქუთელები. აღნიშნული პრობლემა მაჟორიტარის კომპეტენციის სცილდება. თუმცა, როგორც ვიტალი ქარცივაძე ამბობს, საკრებულომ წერილობით მიმართა ენერგო-პრო ჯორჯიას,“ მაგრამ მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემის მაჟორიტარი დეპუტატი ვახტანგ ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ თემებში მოსახლეობასთან შეხვედრები არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით სასარგებლოა და სასურველი: „ფაქტი სახეზეა, ხალხი თავის პრობლემებზე გვესაუბრება, ჩვენც შეგვიძლია ფარგლებში ვცდილობთ მათი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ. როცა ასეთ საკითხებში არასამთავრობო ორგანიზაციები ერევა, კარგია. მარტო რომ მოვდივარ, ხალხი მეუბნება, ნახვალ და ლაპარაკი ლაპარაკად დარჩება... თუ ისეთი ორგანიზაციები მოდიან თემში ჩემთან ერთად, რომლებიც არ ასოცირდებიან ხელისუფლებასთან, ხალხს იმედი აქვს, თემის პრობლემებზე რეაგირება იქნება.

მოსახლეობასთან შეხვედრების თვალსაზრისით საკუთარი თავის უკმაყოფილო ვარ. ხალხში არსებობს სტერეოტიპი, რომ ჩვენ, დეპუტატებს, ისინი მხოლოდ არჩევნების წინ გვახსენდება. ასე ნამდვილად არ არის. ჩემს თემში რვა სოფელია და ვცდილობ თვეში ერთხელ ერთ სოფელში მაინც მივიდე, საკრებულოშიც ხშირად ვხედავ მოსახლეობას.“

პირობითად შეიძლება ითქვას, ექსტრემალურ პირობებში მოუხდა მოსახლეობასთან შეხვედრა შუახევის მუნიციპალიტეტის უწამბის თემის მაჟორიტარს არმაზ ბახტაძეს. შეხვედრის ადგილამდე (შეხვედრა სოფელ ნაპალნის კულტურის სახლში შედგა) სამი კილომეტრი არმაზ ბახტაძემ და „ინტელექტის“ თანამშრომლებმა ფეხით გაიარეს. უჩამბელებმა „ინტელექტთან“ საუბარში აღნიშნეს, რომ „მართალია ბათუმში ცხოვრობს ჩვენი დეპუტატი, მაგრამ უკვე მეოთხედ მოვიდა ჩვენთან. აღრინდელი დეპუტატი ოთხჯერ სულ არ მოსულა. როცა მოდიოდა, ბევრს გვპირდებოდა, მაგრამ ცოტასაც არ გვიკეთებდა. არმაზი ჩვენს ამბებს მალ-მალე კითხულობს და გვაქვს იმედი, რომ დაგვეხმარება.“

შეხვედრაზე მოსულ ამომრჩეველთა სიმრავლით ხულოს მუნიციპალიტეტის აგარის თემი გამოირჩეოდა. მაჟორიტარ დეპუტატ ჯუმბერ დიმიტრაძესთან შესახვედრად სამოცამდე მოქალაქე მოვიდა.

მაჟორიტარ დეპუტატებთან შეხვედრისას მოსახლეობა უამრავ პრობლემას ასახელებს: მოუწესრიგებელი შიდა გზები, სასმელი წყლის პრობლემა (სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, წყლის ფილტრაცია, სასმელი წყლის მილების შეცვლა), სანიაღვრე არხების გაწმენდა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რემონტი, აგროდაზღვევა, გარე განათება, ტრანქტორი, ელექტროენერგია, გაზიფიცირება, მდინარის დაბინძურება ჰესების მშენებლობის გამო, სარიტუალო დარბაზის მშენებლობა, ინტერნეტი, კულტურის სახლის რემონტი, ელექტრონისქვილი... თემებში არსებული პრობლემები ამით არ სრულდება, მოსახლეობა კიდევ რამდენიმე ათეულს ასახელებს. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ მოსახლეობას პრიორიტეტული პრობლემების კვლევის მეთოდს სთავაზობს. შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე შედარებით მთავარი პრობლემა, უმეტესწილად შიდა გზები, წყალი და გაზიფიცირება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა პრობლემებზე საუბარს ინტერნეტის არარსებობით იწყებდა, ყველა თემში პრიორიტეტების კვლევის შემდეგ ამ პრობლემამ ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. პრობლემების კვლევაში მონაწილეებმა განაცხადეს, რომ „ინტერნეტი რად გვინდა, თუ გზა და წყალი არ გვექნება, ან თუ დენი გაგვთიშება როგორ ვისარგებლებთ კომპიუტერით და ინტერნეტით? მადლობა თქვენს ორგანიზაციას, რომ გვასწავლა როგორ მოვიქცეთ როცა ბევრი პრობლემაა და ყველას თავისი საკითხის მოგვარება უნდა. მერე იყო ჩხუბი და გაბუტული მეზობლები. ანი ამ მეთოდს გამოვიყენებთ და არც არავის დანყდება გული, რასაც უმრავლესობა ჩათვლის, რომ პირველ ეტაპზეა გასაკეთებელი, ალბათ ჩვენი საკრებულოც იმას გაითვალისწინებს.“

პრობლემების კვლევის „ინტელექტის“ მიერ შეთავაზებული მეთოდი მოსახლეობასთან ერთად მაჟორიტარ დეპუტატებსაც მოსწონთ.

„აღნიშნული შეხვედრების მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის გამჭვირვალობისა და დეპუტატთა ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართვა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ამ მხრივ მოქალაქეთა მონაწილეობის უფლების რეალიზების ხელშეწყობა. ეს შეხვედრები აგრეთვე ემსახურება თემებში არსებული პრობლემატური საკითხების კვლევას და ერთიანი სურათის შექმნას, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას მოსახლეობა. ვიმედოვნებ, მსგავსი შეხვედრების ორგანიზებით ხელს შევუწყობთ მოსახლეობის ჩართულობას თვითმმართველობაში, მაჟორიტარი დეპუტატების დაახლოებას მოსახლეობასთან,“ – ამბობს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ თანამშრომელი მარინე პაპუნიძე.

მაჟორიტარი კანდიდატების შეხვედრა მოსახლეობასთან „ინტელექტის“ ორგანიზებით უკვე აჭარის მუნიციპალიტეტების 17 თემში ჩატარდა (ქობულეთი – 3, ხელვაჩაური – 1, ქედა - 3, შუახევი - 5, ხულო - 5). შეხვედრები გრძელდება და მთლიანად მოიცავს აჭარის რეგიონს – 63 თემს.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაპანაძე

მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge